



**EURASIA  
PARTNERSHIP  
FOUNDATION**



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



## ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედია მონიტორინგი

2010 წლის 21 – 28 იანვარი

ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

რადიკალიზაცია კვლევა

2010 წლის 22-დან 28 იანვრის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 20 ფაქტია მოკვლეული. ამ 20 ფაქტიდან 11 ნეგატიური გაშუქების მაგალითია, 6 პოზიტიურის, ხოლო 3 ნეიტრალური გაშუქების.

მოკვლეული 20 ფაქტიდან 16 ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა, ხოლო 4 რელიგიურს. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 16 ფაქტი ასე განაწილდა: 8 ნეგატიური, 5 პოზიტიური და 3 ნეიტრალური გაშუქება. რელიგიური უმცირესობის გაშუქების განაწილება კი ასეთია: 3 ნეგატიური და 1 პოზიტიური.

საანალიზო პერიოდში უმცირესობები გააშუქა შვიდმა გაზეთმა (აქედან გაზეთმა „რეზონანსმა“ ორ სხვადასხვა ნომერში) 13 სტატიაში. ამ 13 სტატიაში მოკვლეული იქნა 13 ფაქტი, რომელთაგან 7 ნეგატიური შინაარსისა იყო, ოთხი პოზიტიური და ორი ნეიტრალური. უმცირესობები გააშუქა სამმა ტელეარხმა. სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოსვლებები) მოკვლეული იქნა შვიდი ფაქტი, რომელთაგან ოთხი ნეგატიური, ორი პოზიტიური და 1 ნეიტრალური შინაარსისა იყო.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდში (22-28 იანვარი) მონიტორინგის ქვეშ მყოფი ხუთი ტელევიზიიდან მხოლოდ ერთმა მოამზადა სიუჟეტი რელიგიური უმცირესობებზე მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში ამ ტელევიზიების

საინფორმაციო გადაცემებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 49 შეადგინა.

დარღვევების სიხშირით განსაკუთრებით გაზეთი „ღია ბოქლომი“ გამოირჩეოდა. საანალიზო პერიოდში ამ გაზეთში გამოქვეყნებული სამი სტატიიდან (სამი ფაქტი) უმცირესობების თემა (როგორც ეთნიკური, ასევე რელიგიური) ნეგატიურად იყო გაშუქებული.

### თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

### დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით

1. 2010 წლის 25 იანვრის 12:00 საათიან გამოშვებაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა ავტოავარიის შემთხვევა ასე გააშუქა:

„შიდი ადამიანი გარდაიცვალა ავტოავარიის შედეგად თბილისი - რუსთავის გზაზე, ორი მძიმედ დაშავებული კი საავადმყოფოშია გადაყვანილი. ერთმანეთს ბეემვესა და მერსედესის მარკის ავტომობილები შეეჯახნენ. უბედური შემთხვევის მიზეზები ჯერ-ჯერობით უცნობია. წინასწარი ინფორმაციით მერსედესის მარკის ავტომობილში ბოლნისში მცხოვრები აზერბაიჯანელები ისხდნენ. მგზავრებიც და მძღოლიც სავარაუდოდ ნასვამები იყვნენ. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება

გიორგი სამხარაძე (საპატრულო პოლიციის თანამშრომელი): ფონიჭალა – მარნეული – გუგუთის მე-5 კილომეტრზე მოძრაობდა ავტომანქანა ბეემვე და ავტომობილი მერსედესი, რომელთა შორისაც მოხდა შეჯახება. სავარაუდოდ 7 კაცი არის მსხვერპლი, 2 კაცი გადარჩა რომლებიც სასწრაფო დახმარების მანქანების საშუალებით გადაყვანილი არიან საავადმყოფოში. დანარჩენი ყველაფერი რაც შეეხება დანარჩენს გამოძიება დაადგენს“.

ეს არის ეთნიკური უმცირესობის დისკრიმინაციის და ასევე, სტერეოტიპიზაციის ტიპური მაგალითი. დადუპულებისა და დაშავებულების ეთნიკური კუთვნილების აღნიშვნა არავითარ საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენდა. ეთნიკურ წარმომავლობას არანაირი კავშირი არ ჰქონდა სიუჟეტის თემასთანაც. მეტიც, სიუჟეტის ავტორმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ერთ-ერთი მანქანის მგზავრები და მძღოლი, ნასვამები იყვნენ. ავტორის ტექსტი ისე იყო აწყობილი, რომ მაყურებელს შეეძინებოდა სრულიად უსაფუძვლო შთაბეჭდილება, რომ ავარია იმ მანქანის მიზეზით მოხდა, რომელშიც მთვრალი აზერბაიჯანელები იყვნენ. მაშინ, როდესაც პატრულის თანამშრომელს თავის კომენტარში არ უხსენებია დაზარალებულების წარმომავლობა, შემოიფარგლა მხოლოდ ფაქტების აღწერით და დაამატა, რომ დანარჩენს გამოძიება დაადგენდა.

ზემოსხენებული სიუჟეტი წარმოადგენს ტელევიზიის მიერ ფაქტის სრულიად უპასუხისმგებლო გაშუქების მაგალითს. ასეთი გაშუქება ხელს უწყობს სტერეოტიპის შექმნას ან არსებული სტერეოტიპის გაძლიერებას.

2. 26-27 იანვრის გაზეთ „ალიაში“ (№8 (2445)) ზემოთ აღწერილი ავარიის ფაქტიც სტანდარტების დარღვევით გაშუქდა. აქაც ნახსენები იყო ავარიის მსხვერპლთა და დაშავებულთა ეთნიკური წარმომავლობა.

3. ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის სტანდარტის დარღვევით გააშუქა ზემოაღნიშნული ამბავი გაზეთმა „რეზონანსმაც“ (№018 (6246) 26 იანვარი; 2010).

4. 25-31 იანვარს გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (№4; (800)) გამოქვეყნებულ სტატიაში „უკრაინაში ამ ხელისუფლების განაჩენი იწერება! სააკაშვილმა იცის, რომ 7 თებერვლიდან მისი საქმე დამთავრებულია!“ წერია: „საკაშვილმა ვინმე ებრაელი შაბათასგან პეროვსკაიას ქუჩაზე 5-ოთახიანი სახლი შეიძინა“. აქაც, როგორც წინა შემთხვევებში, პროფესიული სტანდარტების უხეშ დარღვევასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, იმ ადამიანის ეთნიკურ წარმომავლობას, რომელმაც, გაზეთის მტკიცებით, ბინა გაყიდა, არანაირი კავშირი არა აქვს სტატიის თემასთან და მისი წარმომავლობა არც რაიმე საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. მეორე, ეთნიკური წარმომავლობა აქ ავტორს ნახსენები აქვს ძალზე დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ კონტექსტში. სტატიის ავტორი საბჭოთა პერიოდში

ჩამოყალიბებული იმ სტერეოტიპით მანიპულირებს, რომლის თანახმადაც ებრაელები ითვლებოდა მეორეხარისხოვან ხალხად, რომელსაც ვაჭრობის მეტი არაფერი შეეძლო (ეს პროფესიაც იმ დროს არსებული სტერეოტიპის მიხედვით დამამცირებელ საქმიანობად მიიჩნეოდა). ეს სტერეოტიპი ავტორმა სტატიაში გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულების დრამატიზების, ემოციის გაძლიერების მიზნით გამოიყენა. საკითხის ასეთი გაშუქება ძალზე შეურაცხმყოფელია ებრაელი ხალხისათვის.

5. გაზეთ „ღია ბოქლომის“ სტატიის (№10 (14) 2010 წ.) „რატომ გვაბოლებენ ჩინელები?!“ სათაური უკვე ქსენოფობიური და შეურაცხმყოფელია. წინადადება სტატიაში - „კვირფასო მკითხველო ნურავის მოატყუებინებთ თავს და სანამ პროდუქციის რეალურ ფასს არ შეიტყობთ „წვრილთვალებებთან“ ნურაფერს იყიდით“, დამცინავი, შეურაცხმყოფელი და რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციულია.

6. რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციის მაგალითია ასევე გაზეთ „კვირის პალიტრის“ (№4 (808); 25-31 იანვარი) სტატია „რითა სჯობს მიტუასა გმირი მაკენა?“, რომელშიც წერია: „ეხლა მე და მიტუა რო ავდგეთ და ვთქვათ, ამერიკელები ვართო, დავიჯერო, ი შავი კაცი რო ჰყამთ მეთაურად, დაგვიძახებს და გმირობაი მოგვცემს?..“

7. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის (22.01.2010) 21:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში პრეზიდენტ სააკაშვილი კომენტარში იკითხება ქსენოფობიური განწყობა და რუსულ ერთან შედარებით ქართველების უპირატესობის: „მე პირადად, ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი მოციგურავე გაასწრებდა საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნის წარმომადგენელს, მაგალითად რუსეთის წარმომადგენელს. ელენეს მთავარი ღირსება, არის, რომ როცა რუსეთში იყო და რუსები ესვეწებოდნენ, რომ მათ ნაკრებში გამოსულიყო, მიანება ყველაფერს თავი და მიუხედავად იმისა, რომ იყო საშინელი ზეწოლა, რანაირი მუქარებიც იყო, წამოვიდა იქიდან. დაბრუნდა საქართველოში და ეხლა ყველა რუსს გაუსწრო. აი თანამედროვე ქართველი გმირი არის ელენე, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. აი ეს არის ახალი საქართველო“. ასეთი გაშუქება შეიძლება საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა შეურაცხყოფად აღიქვან.

8. ტელეკომპანია „იმედის“ 26 იანვრის 17:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაშიც დაირღვა პროფესიული სტანდარტი:

„ერთთვისანი პაუზის შემდეგ კი სიმართლის დრო დღეს ღია ეთერს დაუბრუნდება. სკანდალურ კითხვებს ლალი მოროშკინამ უნდა უპასუხოს. ჟურნალისტის სიმართლეს მაყურებელი ტრადიციულად 22 საათზე მოისმენს. გადაცემის სტუმარი საკუთარი ცხოვრების სკანდალურ დეტალებს გაახმაურებს. სად გადის მორალის ზღვარი რუსი გვარის მქონე ქართველი სექს-სიმბოლოსთვის, გზა ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში და პოლიტიკიდან ლიტერატურაში, რატომ მიატოვა პირველი ქმარი და მოახდინა თუ არა გარეგნობამ გავლენა კარიერაზე. დეტალები ნახეთ სიმართლის დროში 22 საათზე.“

სიუჟეტის ავტორი სრულიად უსაფუძვლოდ ახსენებს ეთნიკურ წარმომავლობას და არსებული სტერეოტიპით მანიპულირებასაც არ ერიდება. ასეთი გაშუქება შეურაცხმყოფელია საქართველოში მცხოვრები რუსებისათვის.

### ეთნიკური უმცირესობების გაშუქება სტანდარტების დაურღვევლად

9. ეთნიკური უმცირესობა ნეიტრალურად გააშუქა „რუსთავი 2“-მა 25 იანვარს 18:00 საათიან გამომშვებაში:

„აფხაზეთიდან დევნილი 9 ბავშვი დღეიდან 168 –ე საჯარო სკოლაში გააგრძელებს სწავლას. ისინი დღეს პირველად მივიდნენ ქართულ სკოლაში სადაც სიმბოლურად დროშაც აღმართეს და საქართველოს ჰიმნიც შეასრულეს. სპეციალურად მათთვის სასკოლო პროგრამაში აფხაზური ენის გაკვეთილები შევიდა. სკოლა ქართულ-რუსულენოვანია და ისინი რუსულ სექტორზე ისწავლიან. ორი თვის წინ აფხაზეთიდან სულ 12 ოჯახი გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად ისინი აფხაზეთის მთავრობამ ლილოს დასახლებაში ჩაასახლა“.

10. ნეიტრალური გაშუქების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს 26 იანვარს საზოგადოებრივი მაუწყებლის 16:00 საათიან „მომბეში“ გასული სიუჟეტიც:

„ქუთაისის ინტრვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის ექიმებმა გულრიფშსა და ოჩამჩირეში სულ 57 ოპერაცია ჩაატარეს. ბოლო სამი წლის მანძილზე მათ 200-მდე აფხაზს უმკურნალეს.“

“რამდენიმე თვე უშედეგოდ ვიარე ექიმებთან შემდეგ ჩემმა ქართველმა მეგობარმა ბადრი ქაჯაიამ მიაშობ ქართველი ექიმების შესახებ და მათაც აცნობა ჩემი სიმპტომები. ოთარ მარშავას სოხუმში ბევრი ოპერაცია აქვს გაკეთებული და მას ბევრი ენდობა. მეც გაგრისკე ამ ურთულესი ოპერაციის ჩატარება და ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ. ძალიან პროფესიონალი ქირურგები გყავთ, არც ქრთამი მოუთხოვია ვინმეს. მე ვფიქრობ ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ურთიერთობა აუცილებელი და სასიკეთოა“.

ვინაიდან ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით აფხაზების ეთნიკური ნიშნით არადისკრიმინაციულ კონტექტში მოხსენიებას არ ვთვლით სტანდარტის დარღვევად, ზემოხსენებული სიუჟეტში 200-მდე ადამიანის ეთნიკური კუთვნილების ნიშნით მოხსენიება ნეიტრალურ გაშუქებათ მივიჩნით. თუმცა, თავისუფლად შეიძლება ამ სიუჟეტში ეთნიკური წარმომავლობის ხსენებისთვის თავის არიდება. ამის ნათელი მაგალითია „იმედის“ მომდევნო სიუჟეტი.

11. 26 იანვარს ტელეკომპანია „იმედმა“ 17:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში ისე გააშუქა სოხუმელი პაციენტისთვის ქუთაისში გაკეთებული ოპერაცია, რომ ეთნიკური კუთვნილება არც უხსენებია. ეს ეთნიკური უმცირესობის პოზიტიური გაშუქების კარგი მაგალითია.

„უნიკალური ოპერაცია ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში. სოხუმში მცხოვრებ რუსლან არჯენიას ქირურგიული ჩარევა პანკრეასზე დასჭირდა. 39 წლის პაციენტს სწორი დიაგნოზი ვერც აფხაზეთში და ვერც რუსეთში ვერ დაუსვეს, რის შემდეგაც არჯანია ქუთაისში ჩავიდა. ინტერვენციული კლინიკის მედიკოსებმა პაციენტს პანკრეასის ინსულინომას დიაგნოზი დაუსვეს. რთული ოპერაცია პროფესორმა ოთარ მარშავამ ჩაატარა. ამ დროისათვის არჯენია თავს კარგად გრძნობს. ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრმა სოხუმში, გულრიფშსა და ოჩამჩირეში მსგავსი სირთულის 57 ოპერაცია ჩაატარა, რასაც აფხაზეთში განსაკუთრებული რეზონანსი მოჰყვა.“

რუსლან არჯენია: „ოთარ მარშავას შესახებ სოხუმში გავიგე და ისიც მითხრეს, რომ ჩვენთან ჩამოდის და ოპერაციებს აკეთებს. მივედი მასთან, ერთ საათში დიაგნოზი დამისვა და ურთულესი ოპერაცია გამიკეთა. ყველაზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება იყო ყურადღება, რაც ჩემ მიმართ მედიკოსებმა გამოიჩინეს.“

დამარწმუნა, რომ ჩვენს შორის ურთიერთობა უნდა აღდგეს, ბევრმა ეს არ იცის რომ აქ კი ხალხი ჩვენს სამკურნალოდ თავად ჩამოდის და ჩვენთვის სიკეთეს აკეთებს“.

12. 26 იანვრის „რეზონანსის“ (№018 (6246); 2010) სტატიაში „აფხაზი ბავშვები ქართულ სკოლაში“, ეთნიკური უმცირესობა პოზიტიურად არის გაშუქებული.

13. ეთნიკური უმცირესობა პოზიტიური გაშუქების მაგალითია „რეზონანსის“ იმავე ნომერში (№018 (6246); 2010) გამოქვეყნებული სტატია „აფხაზეთიდან გადმოსულ ბავშვებს აფხაზური ენის შესწავლის საშუალება ექნებათ“.

14. ეთნიკური უმცირესობის ნეიტრალურად გაშუქების მაგალითად ჩაითვლება გაზეთ „რეზონანსის“ 22 იანვრის №014(6240)-ში გამოქვეყნებული სტატია „ყოფილი მეზოვეები სასამართლოში ჩივიან“. მართალია, სტატიაში ნახსენებია მეზოვეების ეთნიკური წარმომავლობა, მაგრამ ეს არის სტატიაში გაშუქებული საკითხის არსი და თან არადისკრიმინაციულ კონტექსტშია გადმოცემული.

15. ასევე ნეიტრალურად აშუქებს გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“ ეთნიკური უმცირესობების საკითხს სტატიაში „ახალი წელი ძველი პრობლემებით“ (№01 (269); 25 იანვარი, 2010).

16. „სამხრეთის კარიბჭის“ ამავე ნომერში (№01 (269); 25 იანვარი, 2010) ეთნიკური უმცირესობა პოზიტიურად არის გაშუქებული სტატიაში „სამცხე-ჯავახეთში GFSIS-ის ახალი პროექტი დაიწყო“.

რელიგიური უმცირესობის შეურაცხყოფა, შეუწყნარებლობა:

17. გაზეთი „ღია ბოქლომის“ (№10 (14); 2010) სტატიაში „საფრთხე ზუგდიდში სატანური სექტის წარმომადგენლები გააქტიურდნენ“ პროფესიული სტანდარტების უხეში დარღვევით არის მოთხრობილი რელიგიური უმცირესობების შესახებ: „სამეგრელოში არსებული განუკითხაობის ფონზე ზუგდიდში სატანისტური რელიგიის თეოსოფიის მომხრეები გააქტიურდნენ. მდიდრულად ჩაცმული და რუსულ ენაზე მოსაუბრე პიროვნებები, იეჰოვას მოწმეთა მსგავსად კარდაკარ დადიან და საზოგადოებას სულიერ ხსნას ჰპირდებიან“.

თეოსოფები გაზეთში მოხსენიებულია საფრთხედ საქართველოსთვის, ხოლო თეოსოფია „ცრუ სწავლებად“. იეჰოვას მოწმეები კი ისეთ მიუღებელ ადამიანებად, რომლებთანაც გასაუბრებაც კი არ ღირს. ასეთი გაშუქება შეიძლება შეურაცხყოფელად აღიქვან საქართველოში მცხოვრებმა რელიგიურმა უმცირესობებმა.

18. რელიგიური უმცირესობისადმი ასეთივე განწყობა იკითხება „ღია ბოქლომის“ იმავე ნომერში (№10 (14); 2010) გამოქვეყნებულ სტატიაში „ზუგდიდში იეჰოვას მოწმეებსა და მოსახლეობას შორის შეტაკება მოხდა“.

19. 22 იანვარს საზოგადოებრივი მაუწყებლის 20:00 საათიან გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი აჭარაში სოფელ ღორჯომში მცხოვრები მუსლიმანი ქართველების შესახებ. ერთი შეხედვით სიუჟეტი შეიძლებოდა ნეიტრალურად ჩათვლილიყო, რომ არა სიუჟეტის შესავალი ტექსტი, რომელიც აშკარად ნეგატიური გაშუქების მაგალითია.

სიუჟეტის შესავალ (წამყვანის) ტექსტში ნათქვამი იყო: „ამ სოფელში ის ქართველები ცხოვრობენ, რომლებიც მუჰამედის სწავლებას აღიარებენ. სოფელში ქალები დღესაც ჩადრებით დადიან. მუსულმანი ქართველები მეხეთში ლოცულობენ, თუმცა ქართულ ტრადიციებს დღემდე ინახავენ. ღორჯომელები ბავშვებს ქრისტიანულ სახელებსაც არქმევენ და ოჯახში გამომცხვარ მჭადზე ჯვარს სახავენ“.

ამ ტექსტში აშკარად იკითხება შემდეგი მომენტები: ქრისტიანული რელიგიის უპირატესობა ისლამზე; ჩადრის ტარების ანაქრონიზმობა (მაშინ, როდესაც ჯვრის ტარება ასეთად არ ითვლება); ისლამისა და ქართული ტრადიციების შეუსაბამობა. ამ ტექსტის ავტორი სავარაუდოდ, ვერც აცნობიერებს, რომ ასეთი გაშუქებით იგი არღვევს რელიგიური დისკრიმინაციის არდაშვების პროფესიულ სტანდარტს და



შეურაცხყოფას აყენებს საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანებს. გარდა რელიგიური დისკრიმინაციისა ეს პასაჟი სტერეოტიპული აზროვნების მაგალითიცაა.

20. რელიგიური საკითხის ერთადერთი პოზიტიური გაშუქება გვხვდება გაზეთში „ჯორჯიან ტაიმსი“ (№03 (569); 28. 01 / 4. 02, 2010), რომელშიც ვკითხულობთ: „რას ემსახურება ეკლესიაში სიარული? რწმენის საკითხები განსჯას არ ექვემდებარება. უპერსპექტივოა დავა იმაზე, თუ რომელი რელიგია სჯობს. ეს მხოლოდ რწმენის საკითხია და ადამიანს ვერასდროს აუხსნი, რატომ სჯობია შენი რწმენა სხვისას. სხვათა შორის, ამავე მიზეზით საქართველოში მართლმადიდებლების გვერდით მშვიდობიანად თანაარსებობდნენ სხვა კონფესიათა წარმომადგენლები“.



თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010

პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.